პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 57 (20708) — შაბათი, 10 მარტი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შესახებ

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. სამოქმედოდ იქნეს შემოღებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები 1990 წლის 15 მარტიდან, ხოლო საფუძვლების მე-12 მუხლი — 1991 წლის 1 იანვრიდან.

2. ვიდრე უზრუნველყოფილი არ იქნება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის შესაბამისობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის მოქმედი აქტები გამოიყენება, რადგან ისინი არ ეწინააღმდეგება საფუძვლებს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები გამოიყენება საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ესე იგი 1990 წლის 15 მარტიდან წარმოქმნილი მართლურთიერთობისადმი, საფუძვლების მე-12 მუხლით გათვალისწინებული მართლურთიერთობის გარდა, რომლის მიმართ ეს მუხლი გამოყენებული იქნება 1991 წლის 1 იანვრიდან.

მიწის მართლურთიერთობისადმი, რომელიც 1990 წლის 15 მარტამდე წარმოიქმნა (ხოლო მიწის გადასახადისა და იჯარის ქირის მართლურთიერთობისადმი — 1991 წლის 1 იანვრამდე), სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები გამოიყენება იმ უფლებებისა და მოვალეობებისადმი, რომლებიც წარმოიქმნება საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შედეგად.

3. დადგინდეს, რომ:

შესაბამისი ორგანოების მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში 1990 წლის 15 მარტამდე მიღებული გადაწყვეტილებანი მიწის ნაკვეთების მიცემის შესახებ, რომლებიც არ შესრულებულა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების მომენტისათვის, უნდა შესრულდეს საფუძვლების მოთხოვნათა შესაბამისად;

მოქალაქენი, რომლებიც არ არიან სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკები, აგრეთვე იურიდიული პირები, რომლებსაც დროებით სარგებლობაში აქვთ მიწის ნაკვეთები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა რომ მისცეს 1990 წლის 15 მარტამდე, ინარჩუნებენ თავიანთ უფლებებს, სანამ გაფორმებდნენ მიწათმფლობელობის ან მიწათსარგებლობის უფლებებს;

საფუძვლების მე-9 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გამოანგარიშება იწყება მათი სამოქმედოდ შემოღების მომენტიდან.

4. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესმა საბჭოებმა:

შეუსაბამონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებს;

შეიმუშაონ მიწის მფლობელობის უფლებისა და მუდმივი სარგებლობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო აქტის ფორმა, მიწების მიცემისა და ჩამორთმევის წესი. აგრეთვე გაითვალისწინონ მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის უფლებათა გაფორმების კონკრეტული ვადები;

საადგილმამულო ურთიერთობების გარდაქმნის დროს იხელმძღვანელონ იმით, რომ საჭიროა სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული განვითარება, მეურნეობრიობის ფორმების თავისუფალი არჩევა, შუშაობის ეტაპობრივი შესრულება, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგების მაქსიმალური გათვალისწინება, მჭიდრო კავშირურთიერთობა ეკონომიკური რეფორმის განხორციელების ღონისძიებათა მთელ კომპლექსთან.

5. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს:

1990 წლის 1 ოქტომბრამდე:

წარმოუდგინოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს სსრ კავშირის მოქმედი საკანონმდებლო აქტების შეცვლისა და შევსების წინადადებანი, რომლებიც გამომდინარეობს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებიდან;

შეუსაბამოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებს;

უზრუნველყოს, რომ სსრ კავშირის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა გადასინჯონ და შეცვალონ თავიანთი ნორმატიული აქტები, რომლებიც საფუძვლებს ეწინააღმდეგება;

1990 წლის 1 აგვისტომდე გაანახორციელოს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების რეალიზაცია, და შეიკავებს:

გამოუყენებელი და არარაციონალურად გამოყენებული მიწების სისტემატურ გამოვლენას;

მიწის ქირის პრინციპების დადგენას;

მიწათმოწყობის ძირითადი დებულებების, მიწის კადასტრისა და მიწების მონიტორინგის წარმოების წესის დამტკიცებას;

ახალი სახელმწიფო ორგანოების შექმნას ან მოქმედთა განმტკიცებას, რომლებიც საუწყებათშორისო საფუძველზე უზრუნველყოფენ მიწების მონიტორინგს, მიწის კადასტრს, მიწათმოწყობის წარმოებას, სახელმწიფო კონტროლს მიწების გამოყენებისა და დაცვისადმი;

გლეხური მეურნეობებისადმი მხარდაჭერის სპეციალურ პროგრამას.

გაითვალისწინოს მეცამეტე ხუთწლედის გეგმის პროექტში ღონისძიებანი, რათა თანაბარი შესაძლებლობანი შეექმნას მიწაზე ყველა ფორმის მეურნეობრიობის განვითარებას.

6. 1990 წლის 15 მარტიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1968 წლის 13 დეკემბრის სსრ კავშირის კანონით დამტკიცებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები (სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1968 წ., № 51, მუხ. 485; 1977 წ., № 38, მუხ. 567; 1977 წ., № 51, მუხ. 771; 1980 წ., № 3. მუხ. 42; 1981 წ., № 3, მუხ. 75; 1984 წ., № 24, მუხ. 422; 1987 წ., № 32, მუხ. 514), მე-8 მუხლის გარდა (სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 2 დეკემბრის ბრძანებულების რედაქციით (სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები 1987 წ., № 49, მუხ. 791), რომელიც მიჩნეულია ძალადაკარგულად 1991 წლის 1 იანვრიდან.

7. დაევალოთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს აგრარულ საკითხთა და სურსათის კომიტეტს, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა კომიტეტს და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტს უზრუნველყონ კონტროლი ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალიზაციის მიმდინარეობისადმი და საჭიროების შემთხვევაში სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში შეიტანონ შესაბამისი წინადადებანი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 28 თებერვალი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების

მინის კანონმდებლობის საფუძვლები

ეს საფუძვლები არეგულირებს საადგილმამულო ურთიერთობას და მიზნად ისახავს მიწების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის, გარემო ბუნების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების, მეურნეობრიობის ყველა ფორმის თანასწორუფლებიანი განვითარების პირობების შექმნას.

კარი I.
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობა

საადგილმამულო ურთიერთობას სსრ კავშირში არეგულირებს ეს საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სხვა კანონმდებლობა.

მთის, ტყისა და წყლის ურთიერთობას, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ატმოსფერული ჰაერის გამოყენებისა და დაცვის ურთიერთობას არეგულირებს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სპეციალური კანონმდებლობა.

მუხლი 2. სსრ კავშირის მიწების შემადგენლობა

მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად მთელი მიწა სსრ კავშირში შემდეგნაირად იყოფა:

1) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;

2) დასახლებული პუნქტების (ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების) მიწა;

3) მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, თავდაცვისა და სხვა დანიშნულების მიწა;

4) ბუნებადაცვითი, გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული დანიშნულების მიწა;

5) ტყის ფონდის მიწა;

6) წყლის ფონდის მიწა;

7) მარაგის მიწა.

მკურნალობითი ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების ბინადრობისა და სამეურნეო საქმიანობის ადგილებში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს აღნიშნულ კატეგორიათა მიწების გამოყენების განსაკუთრებული რეჟიმი.

მუხლი 3. მიწა ხალხის კუთვნილება

მიწა მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა კუთვნილებაა.

სსრ კავშირის თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება მიწის ნაკვეთისა, რომლის მიცემის პირობებსა და წესს განსაზღვრავს ეს საფუძვლები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 4. სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილება მიწის განკარგვის დარგში

სახალხო დეპუტატთა საბჭოები მიწის ნაკვეთებს აძლევენ მფლობელობასა და სარგებლობაში სსრ კავშირის მოქალაქეებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, — სხვა ორგანიზაციებსა და პირებს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები მიწის ნაკვეთების ჩამორთმევას ახდენენ ამ საფუძვლების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მიწის მიცემა და ჩამორთმევა მცირერიცხოვანი ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების ბინადრობისა და სამეურნეო საქმიანობის ადგილებში იმ მიზნით, რომელიც დაკავშირებულია მათს სამეურნეო საქმიანობასთან, შეიძლება მოხდეს ამ ხალხებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის გამართული რეფერენდუმის შედეგების მიხედვით სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების თანხმობით.

მუხლი 5. მიწის მფლობელობა

სამუდამო სამკვიდრო მფლობელობაში მიწა სსრ კავშირის მოქალაქეებს ეძლევათ ამ საფუძვლების მე-20 მუხლით გათვალისწინებული საჭიროებებისათვის.

მისაცემი მიწის ნაკვეთების ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მიწა მუდმივ მფლობელობაში ეძლევათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, — სხვა ორგანიზაციებსა და პირებს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები მიწის ნაკვეთების ჩამორთმევას ახდენენ ამ საფუძვლების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. მიწით სარგებლობა

მიწა მუდმივი ან დროებითი სარგებლობისათვის ეძლევათ:

სსრ კავშირის მოქალაქეებს ამ საფუძვლების 21-ე და 22-ე მუხლებში აღნიშნული მიზნებისათვის;

სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა არასასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

თავდაცვის საჭიროებებისათვის ამ საფუძვლების 31-ე მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციებს;

რელიგიურ ორგანიზაციებს;

ერთობლივ საწარმოებს, საერთაშორისო გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს სახალხო და უცხოელი იურიდიული პირების მონაწილეობით;

მიწის დროებითი სარგებლობის ვადებს ადგენს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიწა სარგებლობაში ეძლევათ სხვა ორგანიზაციებსა და პირებს.

მუხლი 7. მიწის იჯარა

იჯარის პირობებით დროებით სარგებლობაში მიწა ეძლევათ სსრ კავშირის მოქალაქეებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, ერთობლივ საწარმოებს, საერთაშორისო გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს საბჭოთა და უცხოელი იურიდიული პირების მონაწილეობით, აგრეთვე უცხოეთის სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, უცხოელ იურიდიულ პირებსა და მოქალაქეებს.

მიწის მეიჯარეები არიან სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები.

იჯარის პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და მკაცრდება ხელშეკრულებით. მოიჯარეს აქვს უპირატესი უფლება განაახლოს მიწის იჯარის ხელშეკრულება მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაიჯარებული ნაკვეთები მხარეთა შეთანხმებით შეიძლება მფლობელობაში გადაეცეს მოიჯარეს.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შეუძლიათ მიწა დაუმკვიდრონ ცალკეულ მუშაკებსა და მოიჯარე კოლექტივებს შედასამეურნეო მიწათმოწყობის წესით.

მიწის საიჯარო ურთიერთობას არეგულირებს ეს საფუძვლები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საიჯარო კანონმდებლობის საფუძვლები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 8. მიწის მიცემა

მიწის ნაკვეთების მიცემა მფლობელობასა და გამოყენებაში ხორციელდება მიკუთვნების წესით.

მფლობელობაში ან გამოყენებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიცემა სხვა მიწათმფლობელისა თუ მიწათმოსარგებლისათვის წარმოებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება ამ ნაკვეთის ჩამორთმევა ამ საფუძვლების მე-11 და 24-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით.

სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის ვარგისი მიწების მიცემა ხდება უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის.

მიწის მფლობელობის უფლებისა და მუდმივი სარგებლობის უფლების დამოწმება ხდება სახელმწიფო აქტით.

სახელმწიფო აქტის ფორმას, მისი რეგისტრაციისა და გაცემის წესს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა. მიწის იჯარის ხელშეკრულებისა და მიწის დროებითი სარგებლობის სხვა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ფორმასა და წესს განსაზღვრავს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 9. მიწის მფლობელობის უფლებისა და სარგებლობის უფლების შეწყვეტა

მთელი მიწის ნაკვეთისა თუ მისი ნაწილის მფლობელობის უფლებასა და სარგებლობის უფლებას შეწყვეტს სახალხო დეპუტატთა საბჭო შემდეგ შემთხვევებში:

1) მიწის ნაკვეთზე ნებაყოფლობით უარის თქმისას;

2) იმ ვადის გასვლისას, რომლითაც იყო მიცემული მიწის ნაკვეთი;

3) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, გლეხური მეურნეობის საქმიანობის შეწყვეტისას;

4) არამიზნობრივი დანიშნულებით მიწის გამოყენებისას;

5) ისეთი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელთან დაკავშირებითაც მიცემული იყო სასამსახურო ნაკვეთი, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით;

6) მიწის ნაკვეთის არარაციონალური გამოყენებისას, რაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისათვის გამოიხატება ნორმატიულზე (საკადასტრო შეფასებით) ნაკლები მოსავლიანობის დონით;

7) მიწის ნაკვეთის ისეთი ხერხებით გამოყენებისას, რომლებიც იწვევს ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას, მის ქიმიურ და რადიოაქტიურ გაჭუჭყიანებას, ეკოლოგიური ვითარების გაუარესებას;

8) მიწის გადასახადის სისტემატური შეუტანლობის დროს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი ვადების განმავლობაში, აგრეთვე იჯარის ქირის შეუტანლობისას იჯარის ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;

9) ერთი წლის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო და ერთი წლის მანძილზე — არასასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მიცემული მიწის ნაკვეთის გამოუყენებლობისას;

10) მიწის ჩამორთმევისას ამ საფუძვლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-6 და მე-9 პუნქტები არ ვრცელდება იმ მოქალაქეთა მიწის მფლობელობის უფლებაზე, რომლებიც გლეხურ მეურნეობას უძღვებიან. მიწის ნაკვეთის მიცემა მომენტიდან სამი წლის განმავლობაში.

დაიჯარებული მიწის გამოყენების უფლება წყდება აგრეთვე მიწის იჯარის ხელშეკრულების მოშლისას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების იჯარის კანონმდებლობის საფუძვლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე მიწის მფლობელობის უფლების, სარგებლობის უფლებისა და მიწის იჯარის შეწყვეტის სხვა შემთხვევები.

მუხლი 10. მიწის ნაკვეთის უფლებისა და სარგებლობის უფლების გადასვლა

შენობისა და ნაგებობის საკუთრების უფლების გადასვლისას ამ ობიექტებთან ერთად გადადის აგრეთვე მიწის ნაკვეთის მფლობელობის უფლება ან სარგებლობის უფლება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

მუხლი 11. მიწების ჩამორთმევა

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის მიწების ჩამორთმევა ხდება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს გადაწყვეტილებით მიწათმფლობელის თანხმობით ან მიწათმოსარგებლესთან შეთანხმებით სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია

სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტმა, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, ცხოველი ინტერესი გამოიწვია ჩვენს რესპუბლიკაში. შრომითს კოლექტივებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების კრებებსა და მიტინგებზე მოეწყო აზრთა საფუძვლიანი გაზიარება ამ კანონპროექტის გამო, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლანდელ პირობებში საპრეზიდენტო ხელისუფლების ინსტიტუტის დაწესება ხელს არ შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას, რადგან იგი მხოლოდ კანამტკიცებს ცენტრის პოზიციებს, ამასთან ასუსტებს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებამოსილებებს, ზღუდავს მათს სუვერენიტეტს. ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბდა ფართო საზოგადოებრივი აზრი, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობის წინ, რომელზეც უნდა განიხილონ ახალი კანონპროექტი, მოეწვიოთ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რათა შეემუშავებინათ ამ საკითხში რესპუბლიკის პარლამენტის პრინციპული პოზიცია.

9 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომლის განსახილველად გამოტანილი იყო ზემოთ აღნიშნული საკითხი. სესიაზე მოწვეული იყვნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ. გ. გუმბარიძემ. მან თქვა:

დღეს ჩვენ საგანგებო რიგგარეშე სესიაზე შევიკრიბეთ უაღრესად მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხის განსახილველად.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რაოდენ ინტენსიურად, კონტრუქციული დიალოგის ვითარებაში მუშაობს საქართველოს უზენაესი საბჭო. იხილება უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სახელმწიფოებრივი განვითარება-სრულყოფის ხვალინდელ დღეს განსაზღვრავენ.

ასეთი კანონპროექტები და გადაწყვეტილებები მიიღო საქართველოს უზენაესი საბჭოს უკანასკნელმა სესიამ, რომლებიც რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების პრინციპულ საკითხებს შეეხება. მზადდება კანონპროექტებისა და გადაწყვეტილებათა ახალი პაკეტი ჩვენი რესპუბლიკისათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხებზე.

ჩვენ ღრმად გვწამს და გვჯერა, რომ საქართველოს დღევანდელმა და მომავალმა პარლამენტმაც სწორედ ამ გზით უნდა იაროს — გაბედულად, ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით დასვას და გადაწყვიტოს ის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები, სოციალური თუ კულტურული განვითარების მომწიფებული საკითხები, რომლებიც მთელ ქართველ ხალხს, რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს აწუხებს, რომლებიც მთელი ათწლეულების განმავლობაში დაგროვდა.

მთელ ქვეყანაში მიმდინარე პროგრესული ძვრები, ჩვენი ეროვნული განვითარების კონცეფცია, ხალხის ნება და მის წინაშე ყოველი ჩვენგანის, მთელი პარლამენტის პასუხისმგებლობა არათუ უფლებას გვაძლევს, არამედ გვავალდებულებს სწორედ ასეთი გადადგული, პრინციპული, ღრმად მოფიქრებული, სამომავლო პერსპექტივისთვის გაანგარიშებული გადაწყვეტილებები მივიღოთ.

დღესაც სწორედ ამიტომ შეკიკრიბეთ.

როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის შემდეგ მუშაობას შეუდგება საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ:

— სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 70-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა (ძირითადი კანონების) შესაბამისი მუხლების თანახმად მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან. მაშასადამე, პრეზიდენტმა მმართველობის პირობებში საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს. სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის არსებობა, მაშინ როცა არ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის პოსტი, საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, არსებობის უარყოფაა;

— კანონპროექტის 127[1]-ე მუხლით დაშვებულია სსრ კავშირის პრეზიდენტის არჩევა იმ შემთხვევაშიც, თუ მისი კანდიდატურა უარყოფილია ხმათა უმრავლესობით მოკავშირე რესპუბლიკების უმცირესობის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტი და, მაშასადამე, საქართველოს, როგორც სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოს, პრეზიდენტიც, შეიძლება გახდეს საქართველოსათვის მიუღებელი პირი;

— სსრ კავშირის პრეზიდენტი არ უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი, რადგანაც ამ მოვალეობას უნდა ახორციელებდეს შესაბამისი სუვერენული სახელმწიფოს — მოკავშირე რესპუბლიკის მეთაური;

— ის ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს პრეზიდენტი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, არ უნდა ზღუდავდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლებას, კონკრეტულად უპირველ მხარს დემოკრატიზაციის შემდგომ გაღრმავებას, ზოგადსაკაცობრიო, ეროვნული და სოციალური საბართლიანობის იდეალების შესატყვისად ქვეყნის განახლების პროცესებს.

კარგად მოგეხსენებათ, თუ რაოდენ ინტენსიურად, კონტრუქციული დიალოგის ვითარებაში მუშაობს საქართველოს უზენაესი საბჭო. იხილება უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სახელმწიფოებრივი განვითარება-სრულყოფის ხვალინდელ დღეს განსაზღვრავენ.

ასეთი კანონპროექტები და გადაწყვეტილებები მიიღო საქართველოს უზენაესი საბჭოს უკანასკნელმა სესიამ, რომლებიც რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების პრინციპულ საკითხებს შეეხება. მზადდება კანონპროექტებისა და გადაწყვეტილებათა ახალი პაკეტი ჩვენი რესპუბლიკისათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხებზე.

ჩვენ ღრმად გვწამს და გვჯერა, რომ საქართველოს დღევანდელმა და მომავალმა პარლამენტმაც სწორედ ამ გზით უნდა იაროს — გაბედულად, ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით დასვას და გადაწყვიტოს ის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები, სოციალური თუ კულტურული განვითარების მომწიფებული საკითხები, რომლებიც მთელ ქართველ ხალხს, რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს აწუხებს, რომლებიც მთელი ათწლეულების განმავლობაში დაგროვდა.

მთელ ქვეყანაში მიმდინარე პროგრესული ძვრები, ჩვენი ეროვნული განვითარების კონცეფცია, ხალხის ნება და მის წინაშე ყოველი ჩვენგანის, მთელი პარლამენტის პასუხისმგებლობა არათუ უფლებას გვაძლევს, არამედ გვავალდებულებს სწორედ ასეთი გადადგული, პრინციპული, ღრმად მოფიქრებული, სამომავლო პერსპექტივისთვის გაანგარიშებული გადაწყვეტილებები მივიღოთ.

დღესაც სწორედ ამიტომ შეკიკრიბეთ.

როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის შემდეგ მუშაობას შეუდგება საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ:

— სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 70-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა (ძირითადი კანონების) შესაბამისი მუხლების თანახმად მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან. მაშასადამე, პრეზიდენტის მმართველობის პირობებში საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს. სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის არსებობა, მაშინ როცა არ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის პოსტი, საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, არსებობის უარყოფაა;

— კანონპროექტის 127[1]-ე მუხლით დაშვებულია სსრ კავშირის პრეზიდენტის არჩევა იმ შემთხვევაშიც, თუ მისი კანდიდატურა უარყოფილია ხმათა უმრავლესობით მოკავშირე რესპუბლიკების უმცირესობის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტი და, მაშასადამე, საქართველოს, როგორც სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოს, პრეზიდენტიც, შეიძლება გახდეს საქართველოსათვის მიუღებელი პირი;

— სსრ კავშირის პრეზიდენტი არ უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი, რადგანაც ამ მოვალეობას უნდა ახორციელებდეს შესაბამისი სუვერენული სახელმწიფოს — მოკავშირე რესპუბლიკის მეთაური;

— ის ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს პრეზიდენტი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, არ უნდა ზღუდავდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლებას, რაც ერთნაშნად უნდა ჩამოყალიბდეს კანონის ტექსტში. მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ თვით რესპუბლიკა. სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების პრინციპების რეალიზაცია მოკავშირე რესპუბლიკის — სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში მხოლოდ ამ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებაა. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკის ურთიერთობას კავშირთან, სსრ კავშირის პრეზიდენტი უნდა იყოს გარანტი მხოლოდ და მხოლოდ იმისა, რომ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებები არ იქნება ხელყოფილი კავშირის მხრიდან;

— ვინაიდან მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან, მათი ურთიერთობების რეგულირების კონტროლი შეიძლება დაეკისროს ისეთ ორგანოს, რომელიც შედგება ამ რესპუბლიკების, როგორც სახელმწიფოების, წარმომადგენლებისაგან. რესპუბლიკის ეს უფლება არ შეიძლება შეცვალოს ამ რესპუბლიკის ამომრჩეველთა კორპუსის უფლებამ, ისევე როგორც სამოკავშირეო ხელშეკრულება, როგორც ამ რესპუბლიკათა შორის უფლებათა რეგულატორი, არ შეიძლება შეცვალოს კონსტიტუციამ, რომელსაც იღებენ სახალხო დეპუტატები;

— პრეზიდენტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს არ შეიძლება ჰქონდეთ იურიდიული ძალა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე;

მიუღებელ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების

მიწის კანონმდებლობის საფუძვლები

(შაბრძელება)

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ჩამორთმევა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებებისათვის შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მიწის ნაკვეთების ჩამორთმევით დაინტერესებული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან დაპროექტების დაწყებამდე წინასწარ შეუთანხმონ მიწათმფლობელებსა და მიწათმოსარგებლეებს, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს ობიექტის გაწილადების ადგილი, ნაკვეთის მიახლოებითი ზომა და მისი გამოყოფის პირობები ტერიტორიის კომპეტენციის გამიჯვნას განსაზღვრავს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 14. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კომპეტენცია საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების დარგში

საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების დარგში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების გამგებლობას განეკუთვნება:

1) მოქალაქეებისათვის, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისათვის მფლობელობაში, სარგებლობაში და იჯარით მიწების გადაცემა;

2) მიწათმფლობელობის უფლების, მიწათსარგებლობის უფლებისა და მიწის იჯარის ხელშეკრულებების რეგისტრაცია;

3) მიწის კადასტრის დოკუმენტაციის წარმოების ორგანიზაცია;

4) მიწათმოწყობის ორგანიზაცია;

5) ამ საფუძვლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიწების ჩამორთმევა;

6) მიწის ქირის გადახდევინება;

7) კონტროლი მიწების გამოყენებისა და დაცვისადმი.

მიწის მიცემა ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების ტერიტორიის ფარგლებში საერთო-საკავშირო, სარესპუბლიკათშორისო და რესპუბლიკური საჭიროებებისათვის ხორციელდება შესაბამისი ავტონომიური ფორმირებების თანხმობით.

მიწის საკითხთა გადაწყვეტისათვის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ქმნიან დეპუტატთა კომისიებს.

საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების დარგში სხვადასხვა დონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კომპეტენციის გამიჯვნას განსაზღვრავს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 15. სსრ კავშირის კომპეტენცია საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების დარგში

საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება:

1) მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად საერთო-საკავშირო და სარესპუბლიკათშორისო საჭიროებებისათვის მიწის მიცემის საკითხების გადაწყვეტა;

2) სსრ კავშირში საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების ძირითად დებულებათა დადგენა, სსრ კავშირის მიწის კანონმდებლობის შემუშავება და სრულყოფა;

3) მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად მიწების რაციონალური გამოყენების, ნაადგილ ნაყოფიერების გაზრდის, მიწის რესურსების დაცვის საერთო-საკავშირო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შესრულებისადმი კონტროლი;

4) სსრ კავშირისათვის ერთიანი მიწის ქირის პრინციპების დადგენა;

5) მიწების გამოყენებისა და დაცვისადმი კონტროლის ორგანიზაცია, მიწების მდგომარეობისადმი სისტემატური თვალყურის დევნების (მონიტორინგის) დაწესება;

6) მიწის სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესის დადგენა;

7) მიწათმოწყობის ძირითად დებულებათა დადგენა.

კარი II.

მიწათმფლობელთა და მიწათმოსარგებლეთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 16. მიწათმფლობელთა უფლებები და მოვალეობები

მიწათმფლობელს უფლება აქვს:

1) დამოუკიდებლად გაუძღვნენ მეურნეობას მიწაზე;

2) წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მისი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლის საკუთრებისა;

3) გამოიყენონ დადგენილი წესით წარმოების ბუნებადაცვითი ტექნოლოგიები, არ დაუშვან ეკოლოგიური ვითარების გაუარესება ტერიტორიაზე თავიანთი სამეურნეო საქმიანობის შედეგად;

4) ააშენონ საცხოვრებელი, საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობა-ნაგებობანი;

5) საკუთრებაში იქონიონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები და ნარგავები;

6) მიწის ჩამორთმევის ან მიწის ნაკვეთზე ნებაყოფლობით უარის თქმის შემთხვევაში მიიღონ მიწის ნაყოფიერების გაზრდისათვის გაწეული ხარჯების სრული კომპენსაცია;

7) გადასცენ დროებითს სარგებლობაში მიწის ნაკვეთი ან მისი ნაწილი ამ საფუძვლებით, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

მიწათმფლობელები მოვალენი არიან:

1) ეფექტიანად მოიხმარონ მიწა მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად, გაზარდონ მისი ნაყოფიერება, გამოიყენონ წარმოების ბუნებადაცვითი ტექნოლოგიები, არ დაუშვან ეკოლოგიური ვითარების გაუარესება ტერიტორიაზე თავიანთი სამეურნეო საქმიანობის შედეგად;

2) განახორციელონ მიწების დაცვის ამ საფუძვლების 42-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებათა კომპლექსი;

3) დროულად შეიტანონ მიწის ქირა;

4) არ დაარღვიონ სხვა მიწათმფლობელების, მიწათმოსარგებლეების, მათ შორის მოიჯარეების უფლებანი.

მუხლი 17. მიწათმოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი

მიწათმოსარგებლეებს უფლება აქვთ:

1) გამოიყენონ მიწა მისი მიცემის პირობების შესაბამისად;

2) გამოიყენონ დადგენილი წესით მიწის ნაკვეთზე არსებული საერთოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეული, ტორფი, ტყის სავარგული, წყლის ობიექტები, აგრეთვე მოიხმარონ მიწის სხვა სასარგებლო თვისებები;

3) ააშენონ საცხოვრებელი, საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობა-ნაგებობანი მიწის მიმცემ სახალხო დეპუტატთა საბჭოსთან შეთანხმებით;

4) მიიღონ საარგებლობის შეწყვეტის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით გაწეულ მიწის გაუმჯობესებათა ღირებულების ანაზღაურება;

5) საკუთრებაში იქონიონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები და წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია;

6) გადასცენ დროებითს სარგებლობაში მიწის ნაკვეთი ან მისი ნაწილი ამ საფუძვლებით, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

მიწათმოსარგებლენი მოვალენი არიან:

1) უზრუნველყონ მიწის გამოყენება მიზნობრივი დანიშნულებისა და მისი მიცემის პირობების შესაბამისად;

2) ეფექტიანად მოიხმარონ მათთვის მიცემული მიწა, გამოიყენონ წარმოების ბუნებადაცვითი ტექნოლოგიები, არ დაუშვან ეკოლოგიური ვითარების გაუარესება ტერიტორიაზე თავიანთი სამეურნეო საქმიანობის შედეგად;

3) განახორციელონ მიწების დაცვის ამ საფუძვლების 42-ე მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებათა კომპლექსი;

4) დროულად შეიტანონ მიწის ქირა ან მიწისათვის საიჯარო გადასახადი;

5) არ დაარღვიონ მიწათმფლობელთა, სხვა მიწათმოსარგებლეთა, მათ შორის მოიჯარეთა უფლებები.

მუხლი 18. მიწათმფლობელთა და მიწათმოსარგებლეთა უფლებების დაცვა

სახელმწიფო, სამეურნეო და სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების მხრივ მიწათმფლობელთა და მიწათმოსარგებლეთა საქმიანობაში ჩარევა, მიწათმფლობელებისა და მიწათმოსარგებლეების მიერ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევების გარდა აკრძალულია.

დარღვეული უფლებები უნდა აღდგეს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მიწათმფლობელთა და მიწათმოსარგებლეთა უფლებების დარღვევით მიყენებული ზარალი უნდა ანაზღაურდეს სრული მოცულობით.

ზარალის ანაზღაურების გამო დავას განიხილავს სასამართლო ან სახელმწიფო არბიტრაჟი.

მიწათმფლობელთა და მიწათმოსარგებლეთა უფლებანი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ამ საფუძვლებით, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 19. მიწათმფლობელების გარანტიები

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის სსრ კავშირის მოქალაქეთათვის მიცემული მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მას შემდეგ, რაც მათი სურვილისაებრ სახალხო დეპუტატთა საბჭო გამოუყოფს ტოლფასოვან მიწის ნაკვეთს, ახალ ადგილას საწარმოება, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებისთვისაც მიწის ნაკვეთები გამოიყოფა, ააშენებენ საცხოვრებელ, საწარმოო ან სხვა ნაგებობებს ჩამორთმეულის ნაცვლად და აუნაზღაურებენ სრული მოცულობით ხელა სხვა ზარალს ამ საფუძვლების IX კარის თანახმად.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი, დაწესებულებებისა და სასწავლო მეურნეობების, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საწარმოების მიწების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს იმ პირობით, თუ მათი სურვილისაებრ აშენდება საცხოვრებელი, საწარმოო და სხვა ნაგებობანი ჩამორთმეულის ნაცვლად და სრული მოცულობით აუნაზღაურდებათ ყველა სხვა ზარალი ამ საფუძვლების IX კარის თანახმად.

კარი III.

სსრ კავშირის მოქალაქეთა მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა

მუხლი 20. საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა მიწათმფლობელობა

სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ სამუდამო სამემკვიდრეო მფლობელობაში მიიღონ მიწის ნაკვეთები:

გლეხური მეურნეობის წარმოებისათვის;

პირადი დამხმარე მეურნეობის წარმოებისათვის;

საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა და მომსახურებისათვის;

მებაღეობისა და მეცხოველეობისათვის;

საგარაჟო მშენებლობისათვის;

საცხოვრებელი სახლის მემკვიდრეობით მიღების ან შეძენის შემთხვევაში;

ტრადიციული ხალხური სარეწებისათვის;

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს მიწის ნაკვეთების გადაცემა მფლობელობაში და სხვა მიზნებისათვის;

მიწის ნაკვეთით მფლობელობის უფლების მემკვიდრეობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 21. სსრ კავშირის მოქალაქეთა მიწათსარგებლობა

სსრ კავშირის მოქალაქეებს მიწის ნაკვეთები სარგებლობაში ეძლევათ მბოსტნეობისათვის, სათიბად და პირუტყვის საძოვლად სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს გამგებლობაში არსებული მიწებიდან. საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოყონ ნაკვეთები ამ მიზნებისათვის მათს მფლობელობასა თუ სარგებლობაში არსებული მიწებიდან.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს მიწის ნაკვეთების გადაცემა სარგებლობაში სხვა მიზნებისათვისაც.

მუხლი 22. სახამსახურო მიწის ნაკვეთები

ტრანსპორტის, სატყეო მეურნეობის, ხე-ტყის მრეწველობის, კავშირგაბმულობის, წყლის, თევზის, სამონადირეო მეურნეობის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები თავიანთ მფლობელობაში თუ სარგებლობაში არსებული მიწებიდან ცალკეულ კატეგორიათა მუშაკებს აძლევენ სასამსახურო მიწის ნაკვეთებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებითა და წესით.

კარი IV.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები

მუხლი 23. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიცემა

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად ითვლება სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის მიცემული ან ამ მიზნისათვის განკუთვნილი მიწები.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ეძლევათ:

1) სსრ კავშირის მოქალაქეებს — პირადი დამხმარე მეურნეობის, ინდივიდუალური მებაღეობის, მებოსტნეობისა და მეცხოველეობის გაძღოლისათვის;

2) სსრ კავშირის მოქალაქეთა კოოპერატივებს — კოლექტიური მებაღეობის, მებოსტნეობისა და მეცხოველეობისათვის;

3) სსრ კავშირის მოქალაქეებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს — სასაქონლო სოფლის მეურნეობის გაძღოლისათვის;

4) სამეცნიერო-კვლევითს, სასწავლო და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს, სოფლის საწარმოო-ტექნიკურ სასწავლებლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს — საკვლევი და სასწავლო მიზნებით, მოწინავე ვამოცდილების პროპაგანდისა და სოფლის მეურნეობის გაძღოლისათვის;

5) არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს — დამხმარე სოფლის მეურნეობის გაძღოლისათვის.

საკარმიდამო მიწის ნაკვეთები პირადი დამხმარე მეურნეობის გაძღოლისათვის ეძლევათ სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოს.

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები სოფლის მეურნეობის გაძღოლისათვის შეიძლება მიეცეთ სხვა ორგანიზაციებსა და პირებს.

მუხლი 24. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიწათმფლობელობა

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები მიწას მუდმივ მფლობელობაში იღებენ საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლისათვის. აღნიშნულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ დამატებით დაიჯარონ მიწის ნაკვეთები.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მიწის უფლება უნარჩუნდებათ, როდესაც შედიან აგროსამრეწველო გაერთიანებების, კომბინატების, აგროფირმების და სხვა ფორმირებების შემადგენლობაში.

კოოპერატივებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (საცდელი მეურნეობების და გრდა) ქვეგანყოფილების ბაზაზე იქმნება და გამოდიან იქიდან სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ეძლევათ მიწის ნაკვეთები იმ მიწებიდან, რომლებსაც ისინი წინათ ამუშავებდნენ მეურნეობრიობის თანაბარი პირობების შექმნის საჭიროების გათვალისწინებით. ეს ნაკვეთები ამოღებული უნდა იქნეს აღნიშნული საწარმოების მიწების შემადგენლობიდან. მიწის ნაკვეთების მიცემის წესსა და პირობებს განსაზღვრავს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრებს, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (საცდელ მეურნეობათა გარდა) მუშაკებს, რომლებიც მოისურვებენ გადიდნენ მათი შემადგენლობიდან და მისდიონ გლეხურ მეურნეობას, სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებით მეურნეობრიობის თანაბარი პირობების შექმნის გათვალისწინებით ეძლევათ აღნიშნულ საწარმოთა მიწებიდან ამოღებული ნაკვეთები. მიწის ნაკვეთების მიცემის წესსა და პირობებს განსაზღვრავენ ეს საფუძვლები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 25. მოქალაქეთა მიწათმფლობელობა, რომლებიც უძღვებიან გლეხურ მეურნეობას

სსრ კავშირის მოქალაქეებს, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს მისდიონ გლეხურ მეურნეობას უპირატესად პირადი შრომისა და მათი ოჯახების წევრთა შრომის საფუძველზე, ეძლევათ მათი სურვილით სამუდამო სამკვიდრო ფლობელობად ან იჯარით მიწის ნაკვეთები, მათ შორის საკარმიდამო ნაკვეთი. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს მხოლოდ იჯარით მიწის მიცემის შეძლებული პირობები.

მოქალაქეებს, რომლებიც უძღვებიან გლეხურ მეურნეობას, შეუძლიათ დამატებით დაიჯარონ მიწის ნაკვეთები საწარმოო მიზნებისათვის.

საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით განისაზღვრება მოქალაქეთა მიწის ნაკვეთის მიღების უპირატესი უფლება სოფლის მეურნეობაში მათი მუშაობის გამოცდილების, საჭირო კვალიფიკაციის, სხვა პირობებისა და ფაქტორების გათვალისწინებით.

იმ მოქალაქეების მიწის ნაკვეთის ზღვრულ ოდენობას, რომლებიც უძღვებიან გლეხურ მეურნეობას, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავენ სახალხო დეპუტატთა მგზავრობითი საბჭოები რეგიონულთავისებურებების, სპეციალიზაციისა და უპირატესად გლეხური მეურნეობის წევრთა პირადი შრომით მიცემული მიწების დამუშავების შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

მოქალაქეთა მიწის ნაკვეთები, რომლებიც გლეხურ მეურნეობას უძღვებიან, გაყოფას არ ექვემდებარება. მიწის ნაკვეთის ფლობის უფლება გადაეცემა სამემკვიდროდ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი პირობებით.

გლეხური მეურნეობის ქონების გაყოფისა და სხვა მოქალაქის, საწარმოს ან ორგანიზაციისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებით მიწის ნაკვეთის გადაცემის დროს მიწათმფლობელს უფლება აქვს მიიღოს მისგან მოსავლისათვის მთელი დანახარჯების, აგრეთვე მიწის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ხარჯების სრული კომპენსაცია მიწის ნაკვეთის ფლობის მანძილზე კადასტრული შეფასების ზრდის შესაბამისად.

მოქალაქეს, რომელიც გლეხურ მეურნეობას უძღვება, შეუძლია შრომის უნარის დაკარგვის ან საპენსიო ასაკის მიღწევის შემთხვევაში გადასცეს მიწის ნაკვეთის ფლობის უფლება ან მისცეს იგი დროებითს სარგებლობაში ოჯახის ერთ-ერთ წევრს, რომელიც მასთან ერთად უძღვება გლეხურ მეურნეობას, ხოლო თუ ასეთი არ არის, სხვა პირებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით.

მუხლი 26. გლეხური მეურნეობის საწარმოებლად სსრ კავშირის მოქალაქეთათვის მიწის მიცემის წესი

გლეხური მეურნეობის საწარმოებლად სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის მიწის მიცემა ხდება მათი განცხადებების საფუძველზე სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს წარდგენებით და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებით.

მიწის ნაკვეთები გამოიყოფათ მოქალაქეებს, როგორც წესი, ერთიან მასივად, მასზე გახლაგებული წყლის წყაროებითა და ტყის სავარგულებით.

კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრებს, შემადგენი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკებს, რომლებიც გამოდიან მათი შემადგენლობიდან, გამოეყოფათ მიწის ნაკვეთი, რომლის საკადასტრო შეფასება, როგორც წესი, უნდა იყოს მეურნეობაში საშუალო შეფასების დონეზე. მეურნეობაში საშუალო საკადასტრო შეფასებაზე ნაკლები შეფასებით მიწის ნაკვეთების მიცემის დროს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს საგადასახადო და სხვა შეღავათებს.

სსრ კავშირის სხვა მოქალაქეებს მიწის ნაკვეთები გლეხური მეურნეობის საწარმოებლად ეძლევათ მარაგის მიწებიდან ამ საფუძვლების 38-ე მუხლის შესაბამისად.

მიწის ნაკვეთის მიცემაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

კარი V.

დასახლებული პუნქტების მიწები

მუხლი 27. ქალაქისა და ქალაქის ტიპის დაბების მიწები

საქალაქო (სადაბო) საზღვრის ფარგლებში ყველა მიწა შედის სახალხო დეპუტატთა საქალაქო (სადაბო) საბჭოების გამგებლობაში. ქალაქის (დაბის) საზღვრის დადგენისა და შეცვლის, ქალაქების (დაბების) ტერიტორიის მიწათსამეურნეო მოწყობის წესს, მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასა და მიცემას და ამ ნაკვეთებით სარგებლობის პირობებს განსაზღვრავს საფუძვლები და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა. გადაწყვეტილებას ქალაქის (დაბის) საზღვრის ფარგლებში მიწის ნაკვეთების მფლობელობაში, სარგებლობაში და იჯარით გაცემის თაობაზე იღებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო (სადაბო) საბჭო.

ქალაქის (დაბის) საზღვარში მიწის ნაკვეთების შეტანა არ იწვევს ამ ნაკვეთებზე მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტას.

მუხლი 28. სასოფლო დასახლებული პუნქტების მიწები

სასოფლო დასახლებული პუნქტების მიწებად ითვლება სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების გამგებლობაში. სასოფლო დასახლებული პუნქტების საზღვრების ფარგლებში სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს მფლობელობაში, სარგებლობაში და იჯარით მიწის ნაკვეთების მიცემის შესახებ.

სასოფლო დასახლებული პუნქტების მიწების გამოყენების წესს განსაზღვრავს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

კარი VI.

მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, თავდაცვისა და სხვა დანიშნულების მიწები

მუხლი 29. მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სხვა დანიშნულების მიწები

მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სხვა დანიშნულების მიწებად ითვლება მიწები, რომლებიც სარგებლობაში აქვთ მიცემული შესაბამის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მათთვის დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად.

აღნიშნული მიზნით მისაცემი მიწის ნაკვეთების ოდენობა განისაზღვრება დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმებისა და საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, ხოლო ნაკვეთების გამოყოფა ხორციელდება მათი ათვისების რიგითობის გათვალისწინებით.

მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სხვა დანიშნულების მიწების გამოყენების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 30. სახელმწო-სამეურნეო მიზნებისათვის მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მიწების გამოყოფა

მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მათ მიერ გამოყენებულ მიწებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებით დროებით სარგებლობაში აძლევენ მოქალაქეებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით. აღნიშნული მიწების ქირის გადახდა ხდება ამ საფუძვლების მე-12 მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 31. მიწები თავდაცვის საჭიროებებისათვის

თავდაცვის საჭიროებებისათვის მიწებად ჩაითვლება მიწები, რომლებიც მიცემულია ჯარის ნაწილების, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დაწესებულებების სამხედრო სასწავლებლების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, სასაზღვრო, შინაგანი და რკინიგზის ჯარების განლაგებისა და მუდმივი საქმიანობისათვის.

თავდაცვის საჭიროებისათვის მიწების მიცემის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

კარი VII.

ბუნებადაცვითი, გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული დანიშნულების მიწები

მუხლი 32. ბუნებადაცვითი დანიშნულების მიწები

ბუნებადაცვითი დანიშნულების მიწებს განეკუთვნება ნაკრძალების, ეროვნული და დენდროლოგიური პარკების, ბოტანიკური ბაღების, აღკვეთილების (სამონადირეოს გარდა), ბუნების ძეგლთა მიწები.

აღნიშნული მიწებზე აკრძალულია მათი მიზნობრივი დანიშნულების საწინააღმდეგო საქმიანობა.

ნაკრძალების, ეროვნული და დენდროლოგიური პარკების, ბოტანიკური ბაღების, აღკვეთილების (სამონადირეოს გარდა), ბუნების ძეგლების რეჟიმის უზრუნველსაყოფად იქმნება დამცავი ზონები და ამ ზონების მიწებზე იკრძალება საქმიანობა, რომელიც მავნე გავლენას იმოქმედებს მათი რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფაზე.

ბუნებადაცვითი დანიშნულების მიწების გამოყენების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 33. გამაჯანსაღებელი დანიშნულების მიწები

გამაჯანსაღებელი დანიშნულების მიწებს განეკუთვნება ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების მქონე მიწის ნაკვეთები, რომლებიც ხელშემწყობია პროფილაქტიკისა და მკურნალობის ორგანიზაციისათვის.

კურორტების მიწები განსაკუთრებულ დაცვას ექვემდებარება. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვის მიზნით ყველა კურორტზე წესდება სანიტარიული დაცვის ოლქები, ამ ოლქების ფარგლებში აკრძალულია მიწის ნაკვეთების მიცემა ან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ფლობელობაში, გამოყენებისა ან იჯარისათვის, რომელთა საქმიანობა შეუთავსებელია ბუნებრივი სამკურნალო თვისებებისა და მოსახლეობის დასვენებისათვის ხელშემშყობი პირობების დაცვასთან.

გამაჯანსაღებელი დანიშნულების მიწების გამოყენების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 34. რეკრეაციული დანიშნულების მიწები

რეკრეაციული დანიშნულების მიწებად მიჩნეულია მოსახლეობის ორგანიზებული მასობრივი დასვენებისა და ტურიზმისათვის განკუთვნილი და გამოსაყენებელი მიწები.

რეკრეაციული დანიშნულების მიწებზე აკრძალულია საქმიანობა, რომელიც აბრკოლებს მათს გამოყენებას მიზნობრივი დანიშნულებით.

აღნიშნული მიწების გამოყენების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 35. ისტორიულ-კულტურული დანიშნულების მიწები

ისტორიულ-კულტურული დანიშნულების მიწებს განეკუთვნება ისტორიულ-კულტურული ნაკრძალების, მემორიალური პარკების, სამარხების, არქეოლოგიური ძეგლების მიწები.

ამ მიწებზე აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება მათს მიზნობრივ დანიშნულებას.

აღნიშნული მიწების გამოყენების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

კარი VIII.

ტყის ფონდის მიწები, წყლის ფონდის მიწები და მარაგის მიწები

მუხლი 36. ტყის ფონდის მიწები

ტყის ფონდის მიწებად მიჩნეულია ტყით დაფარული, აგრეთვე ტყით დაუფარავი, მაგრამ სატყეო მეურნეობის საჭიროებებისათვის მიცემული მიწები.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით შეუძლიათ ტყის ფონდის მიწები მისცენ დროებითს სარგებლობაში სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის. აღნიშნული მიწების საფასურის გადახდა ხდება წინამდებარე საფუძვლების მე-12 მუხლით გათვალისწინებული წესით.

ტყის ფონდის მიწების გამოყენების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 37. წყლის ფონდის მიწები

წყლის ფონდის მიწებს განეკუთვნება წყალსატევებით, მყინვარებით, ჭაობებით, ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით დაკავებული მიწები, აგრეთვე წყალსატევების ნაპირებზე სარინი ზოლებისათვის გამოყოფილი მიწები.

წყლის ფონდის მიწების გამოყენების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 38. მარაგის მიწები

მარაგის მიწებია ყველა მიწა, რომლებიც მიცემული არ არის მფლობელობაში და მუდმივ სარგებლობაში. მათ აგრეთვე განეკუთვნება მიწები, რომელთა ფლობისა და გამოყენების უფლება შეწყვეტილია წინამდებარე საფუძვლების მე-9 მუხლის შესაბამისად.

მარაგის მიწები სახალხო დეპუტატთა საბჭოების გამგებლობაშია და განკუთვნილია მფლობელობაში გამოსაყენებლად და იჯარით მისაცემად უპირატესად სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის წინამდებარე საფუძვლების შესაბამისად.

კარი IX.

მიწათმფლობელის, მიწათმოსარგებლის, ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოების დანაპარგების ანაზღაურება

მუხლი 39. ზარალის ანაზღაურება მიწათმფლობელისა და მიწათმოსარგებლეებისათვის

ზარალი, რომელიც გამოწვეულია მიწის ნაკვეთების ჩამორთმევით ან დროებითი დაკავებით, აგრეთვე მიწათმფლობელთა და მიწათმოსარგებლეთა, მათ შორის მოიჯარეთა, უფლებების შეზღუდვით ან მიწების ხარისხის გაუარესებით საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების საქმიანობით გამოწვეული გავლენის შედეგად, სრული მოცულობით (მათ შორის ხელიდან გაშვებული სარგებელი) უნდა აუნაზღაურდეთ მიწათმფლობელებსა და მიწათმოსარგებლეებს, მათ შორის მოიჯარეებს, რომლებსაც ეს ზარალი მიადგათ.

ზარალს ანაზღაურებენ საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებსაც მიუჩინეს ჩამორთმეული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა იწვევს მიწათმფლობელთა და მიწათმოსარგებლეთა, აგრეთვე მოიჯარეთა უფლებების შეზღუდვას, ან ახლომდებარე მიწების ხარისხის გაუარესებას; წინამდებარე საფუძ-

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ერთიანული ბიულეტენი

მიწის კანონმდებლობის საფუძვლები

(დასასრული)

ლებით და სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნაირალის ანაზღაურებასა და მისი ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ დავას წყვეტენ სასამართლო ან სახელმწიფო არბიტრაჟი მათი კომპეტენციის შესაბამისად.

მუხლი 40. სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ანაზღაურება

